ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01190443235**
თარიღი: **13/02/2019**
პინი: **8479**

ადრესატი: ავთანდილ ლომსაძე
პირადი ნომერი: 01019015694
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, სვანეთის ქუჩა, N 23

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

თქვენი N19/0118316288-17 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანების ერთი ეგზემპლარი.

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 237 81 39

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ბ-19/0118316288-17

"12" 02 2019 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი გლდანი, ხიზაბავრის ქუჩა №24-ში (საკ. კოდი 01.11.12.019.167) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება – №3272611 2.05.2017წ.
მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №3277840 30.05.2017წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ სექტორი გლდანი, ხიზაბავრის ქუჩა №24-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადებზე ნაწილობრივ გაუქმებულია რუსტისებრი ლესვა. გაუქმებულია ბალზალტით მოპირკეთება. დამატებით მოწყობილია სატელიტური ანტენები, გამწოვი მილები. კონდიციონერები. შეცვლილია მოაჯირების ნახატი. გათბობა-კონდიცირების დანადგარების ადგილების წინ გაუქმებულია ცხაურები.

„5-1" ფასადზე: +0.00 ნიშნულზე ფრანგული აივნების ნაცვლად მოწყობილია ფანჯრები. +20.70 ნიშნულიდან ზემოთ „2-1" მონაკვეთში შეცვლილია აივნების გაბარიტი. -2.80 ნიშნულზე გაუქმებულია კარები, ხოლო „4-3" მონაკვეთში ლიფტის შახტის კედელი შესაღებია.

„ა-დ" ფასადზე: შეცვლილია რელიეფის დონე. შენობის ძირი შესალესი და შესაღებია. +0.00 ნიშნულთან დამატებით მოწყობილია მცირე ზომის ღიობი და საკომუნიკაციო მილი.

„1-5" ფასადზე: +20.70 ნიშნულიდან ზემოთ „1-2" მონაკვეთში შეცვლილია აივნების გაბარიტი. +30.60 ნიშნულზე „3-4" მონაკვეთში ფანჯრების ნაცლვად მოწყობილია ღიობები ცხაურით.

„დ-ა" ფასადზე: შენობის ძირი შესალესი და შესაღებია. „ა-ა" ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედელი, რომელიც შესაღებია.

-2.80 ნიშნულზე „ბ-ბ" ღერძთან გაუქმებულია დერეფნის კედელი.

სახურავზე კედლები და კოლონები ნაწილობრივ შესალესი და შესაღებია. შეცვლილია სადარბაზოს სათავსის გაბარიტი. „5-5" ღერძთან შემცირებულია კედლის სიმაღლე. პერგოლების მოწყობა არ შეესაბამება საპროექტოს.

შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა.

„1-5" ფასადის მხარეს „1-1" ღერძთან და „5-1" ფასადის მხარეს „1-1" ღერძთან დამატებით მოწყობილი კედლის ნაწილები სცდება საკადასტრო საზღვარს.

საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავის, ამავე კოდექსის 83-ე და 177-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 62-ე მუხლის, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის

პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „გ ლ დეველოპმენტი"-ს, ქ. თბილისში, სექტორი გლდანი, ხიზაბავრის ქუჩა №24-ში (საკ. კოდი 01.11.12.019.167) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/0118316288-17 12.11.2019წ. განცხადება.
№წ-19/0118316288-17 13.11.2019წ. ბრძანება.

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე